№ 9 იანვარი 14, ხუთშაბათი 1888 იანვარი 14, ხუთშაბათი № 9

ბაზეთი ღირს

თვეში	მან.	კ.	თვეში	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	70
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

ივერია

1877—1888 საპოლიტიკო- და სალიტერატურო- გაზეთი 1877-1888

გაზეთის დასაბეჭდად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ: თბილისში, ერევნის ქუჩა, სახლი № 9, ბ-ნ ნიდდელის საგაზეთო ბეჭდვის პრესიერეტი, ფერა-კოთხვის საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

წმ. ნინოს დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 16 იანვარსა.

იანვრის 14-ს

არის ქვეყანა, ზღვა ამშვენებს მას ერთის მხრითა
და მხრით მეორით მორთულია დიდ მთით რიგითა.
მშვენიერია ის ქვეყანა, მთებით, ველებით,
დაუკარდის ტოთა, ბუჩქნარებით და ყვავილებით;
შემოსილია ეგრედ ტყრფად მას ოთხი გუთხე,
რომ სხვა ქვეყნებში ის ქვეყანა არის სამოთხე.
მაგრამ შეუფერ არ ისიდა, რომ მისი ერი
იყო ურწმუნო, ურთიერთის შური და მტერი,
ბრძანა: «აღსრულდეს მსაზღვი ჩემი
მდეთიური ნება
და გარდმოვიდეს მას ეროვნად ტოთ დიდი
მტერება,
და მტერება იგი მოეფინოს მას წმინდა
ანულმა,
ჩემის მადლითა, ჩემის სხეითი გაბრწყინებულმა;
მოვიდეს იგი, ხელში ეჭიროს მას ვაზის
ჯვარი,
და იმ ჯვარითა გარდაიროს მისი მთა-
ბარი,
და ჯვარი იგი დიდებითა მაღლა აღმართოს
და კაცთა კერძნი და ბომონნი პირ-ქვე
დაამხოს;
დაუცეს ერი მის ფეროსი წინა და თავ-
ვ ანა-სტეს,
მიარწმუნოს მე მან და მტერებითა ჩემით
გაბრწყინდეს,
და მისი გული, კერპი, სავსე უფრმნა-
ბელობითი,
აღიესოს წმინდის სიმშვიდით და ღმა-
ბიერებითა;
და ეკლესია ჩემი წმინდა მან დაამკვიდროს
და დიდი მტერება სუფეროდ მის მხეკრად
ერგოს;
განსთდეს სწავლითა, გონებითა და
გულითა ერი,
და მოელოდეს მოძღვალი მის ბედნიერი.
მაგრამ ენებანი და ქენჯნანი ჯერ ეწვეთან,
ურიცხვნი ერნი, ჩემი მტერნი მიესვეთან;
მაშინ ის ერი, წიდ-ხდომილი წმინდის
დედისა,
აღსდგება ბასრითი დასაცვლელად ჩემის
მტერებისა,
ჩემის სასნელითი მრავალს ან წელს ვსდგვ
რომ ებრძეის,
ამის სასხლითა მის მთა-ბარი, მის
მიწა ირწეოს;
ეკლის ეკვირეგანი ადგას თავსა მას მუ-
ზარადად
და ჩემი მტერება გულს ჰქვს დროშად,
ებეკარ-ებეკრად;
და მის მტერებასთვის დაიტანჯოს, და-
ქენჯნება,
არც დღე, არც ღამე გასსვენება მას არ
ექნება,
მაგრამ დიდებით გამოვა იმ დიდის
ბრძოლითა,
სასხლეში შესვრიდის მხარ-გულ-მკერდით
და ძოსებითა».
აღსრულდა ესე, მოესხნა მას ეკლის
ეკვირეგანი
და დღეს დიდებით ახსენებენ მას მისნი
შვილნი.
და აწ, წმიდანო, შენი ერი გასსვენებული,
შენგან ტიერის, სიდმრთო მტერებით
გაბრწყინებული,
დღეკანდელს დიდს დღეს, დიდებულის
სახელის შენის,
ვაზის ჯვარის წინ დამხობიდი მადლობის
ტრემლს ღვრის.

ვ. ო.

ტფილისი, 13 იანვარი

14-ი იანვარი ყოველად სადიდებელი დღეა ყოველის ქართველისათვის. ამ დღესა უქმობს, ამ დღესა დღესასწაულობს საქართველოს ერი და ეს დღეა დღე მიცვალებისა ჩვენის განმანათლებელის მოციქულთა სწორის წმინდა ნინოსი. ამ ჩვენს, ღვთის-მშობლის წილად-ხდომილს ქვეყანას ღვთის-მშობლისავე ლოცვით და კურთხევით მოევლინა ზეგარდამო შთაგონებული წმინდა ქალწული, გადმოლახა თავისის უძლურის ფეხითა მთანი და კლდენი, მოვიდა იქ, «სადაცა ღმერთნი ღმერთობდნენ და მეფენი მეფობდნენ», შორ-ქვე დაამხო სალოცავნი კერპთა-მსახურებისანი და მათს ადგილას ადმართა ჯვარი ქრისტესი, ჯვარი პატიოსანი.

საქართველოს ერმა გადიხსნა გული, შიგ განიბინავა იგი ჯვარი პატიოსანი ჯვარ-ცმულის ღმერთისა და თვითონაც ჯვარს ეცვა და არავის-კი არ შეარყევინა არც თავისი გული და არც გულში ღრმად და მტკიცედ გაბნეული ჯვარი. მას აქედ ხუთმეტი საუკუნეა და მთელი ეს ხუთმეტი საუკუნე გულში ჯვარით და ხელში ხმალით იბრძოდა, იდვწოდა, სისხლსა ჰღვრიდა ქართველი კაცი და ნათელი ბნელზედ ვერავინ შეაცვლევინა.

ჩვენის ისტორიის სახელი და დიდება, ჩვენთა დიდებულთა წინაპართა სასწაულთა-მომქმედი ძნეობა, თავ-გაწირვა, თავ-დადება, ვაჟკაცობა სულ იმ ნათელით არის განსხივებული, იმ შარავანდედით არის მოსილი, რომელიც «ძალმა ზეშმაღრიტებისამ», წმინდა ნინოს მადლით და ღვაწლით ადმართულმა, მოჭფინა მთელს ჩვენს ქვეყანასა. ამ ძალზედ სხივოსანის ასოებით, ქრისტეს წმინდა სისხლით დაწერილი იყო და არის იგი მცნება, რომელიც უდიდესია, უძლიერესია ყოველს სხვა მცნებაზედ: გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი.

ამ მცნების მოძღვარს ეთაყვანა ჩვენი ქვეყანა; იგი აღიარა ღმერთად და იმას აუნთო თავისი გული წმინდა სანთლად, რომელიც დღეს აქამომდე არ გამქრალა და არც გაჭქრება, მინამ არ გაჭქრება თვითონ ქართველიცა. ამ კაცთა-მოყვარე ღმერთისათვის იწამა ჩვენი ქვეყანა, ამას ანაცვალა, მას შესწირა ყოველივე, რაც-კი ადამიანს საბედნიეროდ აქვს მონიჭებული, ეკლის გვირგვინი დაიდგა თავზედ, ხუთმეტი საუკუნე გულ-გაუდრეკელად ატარა თავშირ-და-სისხლიანებულმა, ჩვენს დრამდე შეუმწიკვლელად მოიტანა და ტანჯულმა და წამებულმა ჩვენ—შვილებს გადმოგვცა, ეხლა თქვენ იცითო.

ეკლის გვირგვინია, მაგრამ თვალ-მარგალიტით მორთულს გვირგვინს რითი ჩამოჭრეს? გვირგვინი წამებისა ზეშმაღრიტებისათვის, კაცთ-მოყვარეობისათვის, გვირგვინი წამებისა მაშვრალთა და ტვირთ-მძიმეთა ნუგეშისათვის, გვირგვინი წამებისა ერთმანეთისა ძმურად და სიყვარულით განკითხვისათვის, მშიერთა, მწყურვალთა, სნეულთა, საპყრობილეთა და პატიმართა შვილისა და ხსნისათვის, ობოლთა, ქვრივთა, უპატრონოთა შეწყნარებისათვის—ნუ თუ ყოველივე ეს იგივ თვალ-მარგალიტები და უფრო უკეთესნიც არ არიან?

დიდი წამება დიდ-ბუნებოვანობის ნიშანია, როგორც დიდი ძალი-

ფელეტონი

წმინდა ნინო.

სიქართველოს განმანათლებელი.

,,მოგვგლინა შენ ღმერთმან ქართველთა მხნობად, დიდებულო ნინა, ყოვლად ნეტარო!''

მიტროპ. სიმა ნინო-წმინდელი.

,,გინარიდენ, ბნელისაგან ცოფმპყრობელ დაცემულისა ქართველთა ადამ-დგინებულო!''

,,დუალდიმელი წმინდა ნინოსი''

დიდი ხანია მას აქედ, რაც წმინდა ნინო მოვიდა ჩვენს ქვეყანაში და მოგვიტანა ჯან სხვი ქრისტიანობისა. უფრო დიდხანს გაველო იმ დრამდე, ვიდრე მოვიდოდა ქვეყნად იესო ქრისტე და მოუტანდა კაცობრიობას ისეთს მოძღვრებასა, ისეთს მაღალსა და დიდებულს სარწმუნოებასა, როგორიც არის სარწმუნოება ქრისტესი, ქრისტიანობა.

ბოლოს გავიდა დრო და ჟამი და აღსრულდა სიტყვა სამღვთო წერილისა: კაცობრიობას მოეკლინა ქრისტე და მაღალი თავისი მცნებანი მოჰფინა ქვეყანას. და აი, იქ საცა, ბნელოდა, ნათელი დამყარდა, საცა ბოროტება იყო, კეთილი გამეფდა, საცა ძულება ბუდობდა, სიყვარულმა დასაადგურა, საცა სიკვდილი და წამება კაცთა სიყვარულისათვის არეკი გაეგონათ, ქრისტეს შემდეგ ქვეყლობად შეიქმნა ასეთი სიკვდილი და თავ-დადება კაცთათვის, მოყვასთათვის.

ასე მოევლინა ქვეყანას კეთილი, ასე გამოაბრწყინა მართალმა და ბეშმარიტება ქრისტეს სარწმუნოებისა იფინება მას აქედ ყველგან, საცა-კი კაცი კაცობს და გული გულობს. ჩვენში მოძღვრება ქრისტესი და სახარება იმისი გავრცელდა ძველადვე, მეოთხე საუკუნის დამდეგს, თითქმის ათას ხუთასის წლის წინად, სახელდობრ 318 წლიდამ ქრისტეს დაბადების შემდეგ. ქრისტიანობა გაავრცელა მოციქულთა-სწორმა და დედათა შორის ნეტარმა დედამ, სამღვთო სძალმა, წმინდა ნინომ. ერი ჩვენი მოინათლა შაბათს, 20 იელისს, მირიანის მეფობის დროს, როცა რომში იჯდა უკვე ქრისტიანი მეფე კონსტანტინე დიდი. მოინათლა წმ. ნინოს ოხითა და ჩაგონებითა. «გიხაროდენ შენ ზეციურისა ნათლისა სალმრთოსა მომფენელო ჩვენდა»!

***

წმინდა ნინო დაიბადა კაპადუკიაში, შავის ზღვის პირად, დაიბადა იმ დროს, როცა ის-ის იყო შეიტყო და შეიტყბო ქვეყანამ ახალი სარწმუნოება ქრისტესი. პალესტინა, სამშობლო ებრაელთა, მთელი მცირე აზია კაპადოკიითა და სომხეთითურთ, საბერძნეთი და რომის იმპერია მოჰფინა ქრისტეს ბრწყინვალე ნათელმა. თუ წინაღმდეგნი ბევრნი ჰყვანდნენ მაშინ ამ კაცთ-მოყვარეობისა და სათნოების მოძღვრებასა, სამაგიეროდ ისეთი მომხრენი და მოწაფენიც აღმოუჩენდნენ, რომელნიც ახალს მოძღვრებას სულითა და გულით მიეცნენ და იმის გულისათვის, იმის გასავრცელებლად მზად იყვნენ წამებულიყვნენ, თავი გაეწირათ. მრავალნი გაჩნდნენ ამისთანანი როგორც მამაკაცთა, ისე დედაკაცთა შორის. და აი დაარსდნენ ქრისტეს მიერნი ძმობანი, რომელთაც ალთქმად ჰქონდათ დადებული არა თუ მარტო თვით ეცოდოვრათ სახარების თანხმად, ქრისტეს შედგომითა, არამედ ყოველის ღონითა და მეცადინეობით გაეფრცელებინათ კიდეც დიდი მოძღვრება სხვა ქვეყნებშიაცა, საცა ჯერ სხვი ქრისტიანობისა არ მიმწედრიყო, არ მიფენილიყო, საცა კერპთ თაყვანისმცემლობას მიზღვევნენ და ღმერთად მიანდათ უსულო არსებანი, ან სხვადა-სხვა საგანი ხილულთა ყოველთა და არა-ხილულთა: ხენი და მცენარენი, ცეცხლი და წყალი, ელვა-ჭექა და ქუხილი, მზე, მთვარე და ვარსკვლავები და სხვანი: საცა არ იცოდნენ, რა არის სიყვარული მოყვასისა, რა არის სათნოება, რა არის კეთილი, რა არის თავ-განწირვა და თავ-დადება ქვეყნისათვის, კაცთა ნათესავისათვის.

ასეთს ყოფაში იყო საქართველოცა მაშინ, როცა მოვიდა წმინდა ნინო და იქადაგა ჩვენშიაც სიტყვა ღვთისა და განანათლა ქართველთა ერი. გმადლობთ შენ, «რომელმან ეარსკვლავთა და მნათობთა უზენაესი ნათელი მომფინე ჩვენ»! «გიხაროდენ შენ, ქართველთა უგულისხმოთა განმბრძნობელო ზეციერითა სიბრძნითა!»

***

თორმეტის წლის წინო მოიყვანეს იერუსალიმს თავიანთ მშობლებმა, ზაბულონმა და სოსანამ. იქ ეგულებოდათ თავიანთი ნათესავი, პატრიარქი იერუსალიმისა, ბიძა ნინოსი, სახელად იობენალი და იმის მფარველობითა და ხელმძღვანელობით უნდოდათ აღეზარდნათ. ბიძამ ყმაწვილი ქალი მიაბარა აღსაზრდელად სარა ბეთლემელსა, დედაკაცსა ფრიად განსწავლულსა სამღვთო წერილში და იესო ქრისტეს ცხოვრების ზედ-მიწევნით მცოდნესა. «რამეთუ არავინ ყოფილიყო და არცა იყო შორის იერუსალიმსა სწორ მისსა მეცნიერებითა სჯულისა, ძველსა და ახალსა ყოველსავე ზედ-მიწევნით». აქ პატარა ნინომ დიდი გულის-ყური გამოიჩინა, დიდი წადილი და ხალისი სწავლისა და მოსავენებას არ აძლევდა მოხუცს სარა ბეთლემელს; სწყუროდა გაეგო ყოველივე ამბავი იესო ქრისტეს ქვეყნად ცხოვრებისა. სარა ნიამფორმა ანუ ბეთლემელმა შეატყო ყმაწვილს, რა მადლით იყო მოსილი, რა ცეცხლი ათბობდა იმის სულსა და გულს და გამოუცხადა, რომ შენ დიდი ძალა გაქვს და დიდი საქმეც მოგელისო.

— ვსდგვ, შვილო ჩემოვო—უთხრა სარამ ნინოს,—ძალსა ღმისა ძალისასა, რომელი აზსებს ყოველთა ზედა ოთხ-ფესთა, განს ვითარცა აწოწიკი ფუდალი, რომელი აღვიდის სიმაღლესა ჭეკრთასა უფროს მიმდისა და ყოველი სმელეთი გუგასა თვალისა მისასსა შეიარსა მარგალიტასა სწორად შეიეკნის, განანიდის და განიცდის სუნქელი მისი ტეტხლებრ, და რა ანსხის, მოეტეკნის ფრთენი და მიეტეკის მას ზედ. კეკრეთ ეყოს ცხოვრება შენი.

გავიდა დრო, ნინო გაიზარდა და ლოცვასა და ვედრებაში ატარებდა თავის ყმაწვილ-ქალობასა. მთელი ამისი არსება შეიპყრო იმ სურვილმა, რომ სხვის გულშიაც აღეგზნო ცეცხლი ღვთის-სიყვარულისა და ქრისტეს სარწმუნოებისა. მოახლოვდა დიდებული დღე ქრისტეს აღდგომისა. სარწმუნოებრიემა აღტაცებამ უფრო შეიპყრა ნინო. სწორედ ამ დროს გაჩნდა იერუსალიმში დედაკაცი ერთი, რომელიც ეთესის ქალაქიდგან მოსულიყო. სარა ნიამფორმა ჰნახა ეს დედაკაცი და ჰკითხა: ელენე დედოფალი «ჯერეთცა ეგეეთარსა ცოცხასა და ბნელსა შინა არისო.»? მოსულმა დედაკაცმა უამბო, რომ, მე ვარ მხეალი მათი და მახლობელი განზრახვასა მათსა ყოველსა, ცხადსა და დაფარულსა და უწყი მე მისი, რამეთუ აქეს მას დიდი წადიერება ქრისტეს სჯულისა და ნათელ-ღებისათვის. მოისმინა თუ არა ნინომ ასეთი ლაპარაკი დედაკაცისა, სთხოვა ნიამფორს, რომ მე გამგზავნე დედოფალთან და მე ვუამ-

ვა-მოსილობა. დიდი წამება იგივ დიდი გამარჯვებაა, რომელიც წ�ჰხვდება ხოლმე დიდ-ბუნებოვანს ეაცსა, ხოლო გამარჯვებული ბედნიერია იმიტომ-რომ თვითონაც სტკბება მით, რაც გამარჯვებას მოაქვს და წამებულიკი თვით იწვის სანთელსავით და სხვასაკი უნათებს.

ამიტომაც ეკლიანი გვირგვინი წამებულისა უფრო უანგარობა, უფრო მიმზიდველია, უფრო სგულ-მტკივნეულობა და, მაშასადამე, უფრო მშვენიერი, სასახელო და სადიდებელი. მარტო ამ წამებულთა ჭლოტიცულობს კაცობრობა, მარტო ამ წამებულთა ადიარებს იგი წმინდანებად და თაყვანსა სცემს ლოცვითა და კურთხევითა.

ეკლიანი გვირგვინი, ჩვენს დდეამდე მოტანილი ჩვენთა წინაპარ-თაგან, ამ მშვენიერებითა ჭშვენის, ამ სახელითა სახელოვანობს, ამ დიდებით ჭდიდებულობს. თუ ვისმე სამართლიანად ეთქმის, რომ თვით დაიწვნენ და სხვას-კი გზა გაუნათესო., ეს ჩვენს მამა-პაპას ეთქმის და მადლობელნი შვილნი ლმობიერებით პირ-ქვე უნდა დავემხოთ მათ საფლავთა წინაშე ⲁⲁ ვუგალობოთ დიდება დიდებულთა და ქება ქებულთა.

ამ სამართლიან ქება-დიდებისათვის სხვა უკეთესს დდეს ვერ ამორჩევს ქართველი, თუ არ დდეს, ჩვენის განმანათლებელის სახსოვრად დაწესებულს. მოგვევლინა წმინდა ნინო, გვამცნო და გვასწავა ქრისტეს რჯული და ახლამა მშვენიერმა ადთქმამ განაახლა ჩვენი ქვეყანა ახალის ცხოვრებისათვის. ქართველმა ამ რჯულს, ამ ახალს ადთქმას შეუერთა ძველისაგან ყოველივე ის, რაც-კი რამ ძვირფასია ადამიანისათვის და რაც თავის დდეში არ დაძველდება, მინამ ადამიანი ადამიანობს: შეუერთა მამული და ეროვნობა. ეს სამი ერთმანერთის დირსი საგანი ისე ჩაიწნენ, ისე ჩაქსოვდნენ ერთმანერთში, რომ რჯულის დაცვა საქართველოს მიწა-წყლის დაცვად გარდიქმნა და მიწა-წყლის დაცვა — რჯულის დაცვად. რჯული ჩვენის მამულის, ჩვენის ეროვნობის ხმლად იქცა ზედ-მისევნისათვის და ფარად ზედ-მოსულეთათვის.

ქრისტიანობა, ქრისტეს მოძღვრების გარდა, ჩვენში ჭნიშნავდა მთელის საქართველოს მიწა-წყალს, ჭნიშნავდა ქართველობას. დდესაც მთელს ამიერ კავკასიაში ქართველი და ქრისტიანი ერთისა და იმავე მნიშვნელობის სიტყვები არიან. გაქრისტიანების მაგიერ გეტყვიან, — გაქართველდაო. ჩვენმა სამდვდელოებამ კარგად იცოდა, რომ მამული და ეროვნობა, რჯულთან ერთად შეერთებული, რჯულთან შეხოორც-თვისებული, უძლეველი ხმალია და შეულეწელი ფარი ტრფისა წინაშე. სიტყვას ქადაგებისას, სწავლას, მოძღვრებას სულ იმაზედ მიაქცევდა ხოლმე, რომ მამული და ეროვნობა რჯულამდე გააპატიოსნოს, სარწმუნოებამდე ადამდლოს, ასწიოს და ყოველივე ამ სამს წმინდას და უდიდესს საგანს, ერთად შეერთებულს, თავ-დადებით ამსახოროს, თავ-გაწირვით ამოქმედოს.

აი სად და რაში ჭპოულობდა ჩვენი უწინდელი სამდვდელოება თავის სულიერს და ხორციელს ღონეს, თავის ძალიერებას, პატივის-ცემას! აი რით გაიმაგრა სამდვდელოებამ სარწმუნოება ქრისტეს და ამ პატარა ქვეყანაში, რომელსაც გარშემო ვეშაპი - მტრები ეხვევნენ და ჭლამოდნენ ქრისტიანობა ძირიანად ამოეგდოო. აი რამ მოაგერებინა ამ პატარა ქვეყანას აუარებელი მტერი! მამული და ეროვნობა მიაშველა სამდვდელოებამ რჯულს, რჯული — მამულსა და ეროვნობასა და ეგრედ მოძღვრებულმა ერმა ეს სამება წაიმძღვარა წინ, ათას ხუთასი წელიწადი ომითა და სისხლის ფერითა და გამოიარა და ქართველს ბინაც შეუნახა და ქართველობაცა.

ამ სამთა უწინდესთა საგანთა შეერთებამ ასწია ჩვენი სამდვდელოება და დააყენა იმ მაღალ ხარისხზედ, სადაც ყოველი ბიჯი ფვაწლია და სამსახური ქვეყნის წინაშე. მოდგაწეს და მოსამსახურეს ყოველთვის დიდი პატივი და სახელი აქვს და ამიტომაც უწინ სასულიერო წოდებაში შესვლა და ყოფნა დიდ პატივად და დიდ ღირსებად მიაჩნდათ. დიდნი გვარიშვილნი, მეფეთა ოჯახისანი და ძენიც-კი ბედნიერად ჭრაცხდნენ თავიანთ თავს, თუ-კი ედირსებოდნენ სასულიერო წოდების კაცად გახდომას, სასულიერობაში შესვლას და სამსახურსა. ყველამ იცოდა, რა მძიმეა ჯვარი ქრისტესი, ჯვარი მამულისა და ეროვნობისა და სახელიც მოდგაწისა ამ სიმძიმეში იყო. ეს სიმძიმე აპატიოსნებდა ფვაწლსა, ეს ტვირთი ასხივოსნებდა სამსახურსა და ამ პატიოსნებასა და სხივოსნობაში იყო თავ-მოწონებაც და ჯილდოც მოდგაწისა.

ამ სახით წმინდა ნინოს მოციქულობითი მოფენილმა და დამკვიდრებულმა ქრისტიანობამ გვიხსნა ჩვენ არამც თუ სულიერად, არამედ ხორციელადაც. იმა უდიდესმა მოძღვრებამ, რომელიც ქრისტე ღმერთმა მოუვლინა ქვეყანას ხსნად და ცხონებად, თავისი ძალეკა მოსილი კალთა გადააფარა ჩვენში ჩვენს მამულს, ჩვენს ეროვნობას, ვითა ობოლნი შეიკედლა, თავისის ფფთაებურის ძალ-ღონით გამოჭზარდა, შეჭმოსა, შთაუდგა გული რკინისა, გაუმძღვარა ჯვარი პატიოსანი და ძელი ჭეშმარიტებისა. და აი ათას ხუთასი წელიწადია ამ ძალ-ღონით ქრისტიანობამ შეგვინახა ჩვენ ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ენა, ჩვენი ვინაობა, ჩვენი ეროვნობა.

ქრისტიანობის მოფენა და დამკვიდრება თვითონ ცალკეედ, თავის-თავადაც დიდი ფვაწლია და, რომ ქრისტიანობამ ქვეყანრისავით შეგვკრა და გაგვამაგრა; რომ ქრისტიანობა გაგვიძღვა მამულისა და ეროვნობის შერჩენისა და ხსნისათვის, ფვაწლი იგი გვიორკეეცდება, გვიდიდდება, გვიძლიერდება. ეგ გვორკეეცებული, ეგ გახდიდებული ფვაწლი დაგვმდო ჩვენ ჩვენმა განმანათლებელმა წმინდა ნინომ. აი რით არის მართლა სადიდებელი, მართლა სადიდ-დდესსწაულო. იგი ddეე, როდესაც ჩვენი ეკლესია დიდებით იხსენებს ამ მოციქულთა სწორს ქალწულსა. ამა ფფთაებურის მადლით მოსილმა მოციქულმა დაგვაწაა დაუშრობელს წყარო ფფთაებურის ჭეშმარიტებისას და მოგვივლინა იგი მოძღვრება, რომელმაც იშვილა ჩვენი მამული, ჩვენი ეროვნობა და ერთსაც და მეორესაც უპატრონა დდეამდე.

კურთხეულ ხარ შენ ddედათა შორის! დიდება შენდა, დიდება!..

ახალი ამბავი

*** ტფილისის კათოლიკეთ გაუზარახავთ გაუგზავნონ პაპს რომისას სახსოვრად წმინდა ნინოს სურათი. ეს სურათი უკვე მზად არის. იგი ოქრომკედით მოქარგულია ლიონის ხავერდზე, რომელსაც სიგრძე-სიგანე სამ-სამი არშინი აქვს. ქსოვილს სურათს ქვეშ ლათინურად აწერია „Sancta Nina". სურათის ირგვლივ შემდეგი წარწერაა: «უფუწმინდეს მამას პაპს ლეონს მე-VIII-ს ერგასეულის მღვდლობის იუბილეის გამო. ძეობრიეის სიყვარულითო მკეიდრნი ტფილისის კათოლიკენი. 1837—1887 წელი». ხავერდის კუთხეებზე მოქსოვილია სურათები ფრინველებისა, რომლებიც უყურებენ წმინდა ნინოს. ეს ოქრომკედით ქსოვილი სურათი გაუგზავნიათ სარატოვის ეპისკოპოსისათვის, რომელმაც ჯერ უნდა წარუდგინოს წმინდან საქმეთა სამინისტროს და შემდეგ უნდა გაუგზავნოს პაპსა.

*** დღეს, 14-ს იანვარს, მისი ყოველად უსამღვდელოესობა ეგზარხოსი საქართველოსი პალლადი გადაიხდის წირვას წმინდა ნინოს სახელის დდეათა სასწავლებლის ეკლესიაში.

*** კონცერტდამ, რომელიც გამართული იყო 19 დეკემბერს 1887 წელსა «ტფილისის სპრანიაზე» «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამა-

---

ბობ ყოველსაე ქრისტეს ცხოვრებასა. ნიმფოორმა შეტყობინა განზრახვა ნინოსი იმის ბიძას, იერუსალიმის პატრიარქსა. პარტიარქმა ნება მისცა ნინოს, აკურთხა და გზა დაულოცა.

«მაშინ პატრიარქმან, დედისა მისმან მისმანნა, — მოგვეთხრობს «ქართველის ცხოვრება», — მოიწოდა წმიდასა ამას ნინასა, დისწულსა თვისსა, და დასდგეს იგი ალსაღლეს წმიდისა საკურთხეველისასა, და დასხნა სკამი მისნი წმიდანი მსრთა ზედა მათსა, სუფლთ თქმენ ცად მამართ საღრმთო გულითა მისისთა, და სთქვა: უფალო ღმერთო სიკეთეთოო, სუფლთ შენთ შეკეფდრეს ოთხოლსა ამას შეიდსა დისა ჩემისასა, და წარეკეფლინე ქადაგებად ღვთაებისა შენისა, რათა ესრეთ აღდგომა შენი. სადაცა სთნო იყოს სრბაი მისი, ეგზენ ქრისტე ღმერთო ამას თანამოგზაურ, ნაკთ-სადგურ, მომეკეარ, ენა-მეხეიერ, კეთილრეა უწინარეს ამისა მოაშეთოს სასეფლისა შენისასთა».

დალოცა ასე წუ. ნინო. იმისმა ბიძამ იობენალ პატრიარქმა და გაისტუმრა თავისი ღისწული სახარების საქადაგებლად...

**

ამ დროს საქართველოში ერთ-მთავრობა ანუ მეფობა დიდის ხნის შემოღებული იყო. პირველი მეფე ანუ ერთ-მთავარი საქართველოსი იყო ფარნაოზი. ქართლის ცხოვრება ამბობს, რომ ამ მეფემ ბევრი კეთილი წესი შემოიღო თავის სამეფოშიო. ხოლო მატიანეეე ამბობს, რომ ფარნაოზმა შემოიღო სპარსთა სარწმუნოებაც, რომელიც დაარსებულ იქმნა სპარსეთში ზოროასტრის მიერ. კერპი არმაზისა ფარნაოზმა აღმართა მღალს მთაზე, საცა ქართლოსის საფლავი იყო, იქ, საცა დღესაც, მცხეთის ახლო, მტკვრის მარჯვენე, ერთს პატარა ხეს არმაზის ხეს ეძახის ხალხი. მეორე კერპი ორმუზდისა ამართული იყო არაგვს გაღმა, საცა ეხლა ჯვარის მონასტერია. არმაზის კერპს ერთის მხრივ უდგა კერპი გაციისა და მეორეს მხრივ — გაიმისა. მაშინდელის ქართველის გონებაში ზოროასტრისა და კერპთ-თაყვანის ცემის მოძღვრებანი სრულიად აირია ერთმანერთში. ერთის წმინდა სწაელა-მოძღვრება მეორემ დაუბნელა და გააუქმა. ერი დიდს უმეცრებასა და სიბნელეში ჩავარდა. კერპები მიაჩნდათ მრისხანე ღმერთებად, რომელთა გულის მოსაგებად და მოსაოხებლად საჭიროა იყო ეითომ ყმაწვილებისა და ბავშვების შეწირვა მსხვერპლად. ასეთი საშინელი ჩვეულება და წესი ძველის დროების ნაანდერძევი იყო, იმ დროებისა, როცა ხალხი ტყეებსა და კლდეებში ცხოვრობდა გარეული ნადირსავით. მაშინდელს ქართველს ეგონა, რომ თუ კერპს ყმაწვილს შეეწირავე, საყვარელს ძეს ან ასულს დაეწვავე იმის წინაშე, დიდად მოვიგებ იმის გულს და ბედნიერი ვიქნებიო. მაშინდელნი მეფენი, გაიმარჯვებდნენ მტერზედ თუ დამარცხდებოდნენ მტრისგან, მაშინვე ღმერთებს შესწირავდნენ დედის-ერთა შვილსა. ხან-და-ხან, თუ საერთო სიხარული, ან წუხილი დიდი იყო, ერთსა და ორს ადამიანსკი არ შესწირავდნენ ხოლმე მსხვერპლად, არამედ ათსა და ასსა. დაზავების დროს მეფენი და მთავარნი შეიკრავდნენ მარჯვენა ცერებს ძაფითა, გამოიდენდნენ სისხლსა და სწოდნენ ერთმანერთს, ეითომ-და მეგობრობისა და დაზავების ნიშნად. მიცვალებულთ ხშირად არა ჰმარხავდნენკია, არამედ მიყრუებულს ტყესა და კლდეში სტოვებდნენ, ისეთს ალგასა, საცა მტაცებელნი ფრინველნი სადგურობდნენ და მშიერნი ნადირნი დაძრწოდნენ. ზოგიერთი ნათელი და კეთილი მოძღვრებანი ზოროასტრისა სრულიად გარყვნილ და წარწყმენდილ იქმნა მოგვთა და ქურუმთაგან, რომელთაც თითქო თავიანთ სასარგებლოდ მიაჩნდათ, უფრო დაებნელებინათ გონება მდაბიო ხალხისა. და აი იმათის სურვილით ეწოო ყველგან საქართველოში განუქრობელი ცეცხლი სახმილებში და ამ ცეცხლს სასაკეთოი ეეიდრებოდნენ ქრისტიანობის გავრცელებამდე ჩვენნი წინაპარნი. ქურუმნი და მოგვნი, შემოსილნი ერონი აპრელებულის ტანისამოსითა და მეორენი — თეთრის სამოსელითა, მრავალისაგან მრავალნი იყენენ და ფუტფუტი გაჰქონდათ მთელს ქვეყანაში. დედა-ქალაქ მცხეთაში ხომ აუარებელნი იყენენ ეს გუშაგნი და დამცველნი ცეცხლისანი. ხალხს მიჰქონდა ყოველ დღე კერპების წინაშე თავიის საცხოვრებელი და დიდის ხელისით სწირავდა ამ უსულო საგნებსა. ყოველ დილით მკეიდრნი მცხეთისანნი გამოდიოდნენ მზის ამოსვლისას თავიანთ სახლებიდამ, დადგებოდნენ სახლის ბანებზედ და იქიდამ ლოცულობდნენ და ეეიდრებოდნენ ორმუზდის კერპსა, რომელიც სპილენძისაგან იყო გამოქანდაკებული ახოვანის კაცის სახითა; ამ კერპსა და იმის სამკაულს გაჰქონდა ლაპლაპი ამომავალის მზის სხიეებისაგან და თვალს უბრმავებდა გონება-დახშულს, უმეცარს ხალხსა.

**

და აი, როცა ასეთი კერპთ თაყვანის-მცემლობა იყო გავრცელებული ჩვენს ქვეყანაში, როცა ქრისტიანობას დიდ მტრად აღმოუჩნდა რომში მეფე დიოკლეტიანე, მაშინ გაჩნდა მეხეთის მხარეს, თაფარავანის ტბის ახლო-მახლო ქალი ერთი და იქაურს მეცხვარეებს ჰკითხა, საით არის გზა საქართველოსიო. მეცხვარეებმა პური აპამეს ქალს, რომელიც დიდის ტანჯვით გადარჩენოდ ჯერ დიოკლეტიანეს დევნასა და მერე სომხეთის მეფის ტრდატის ბარბაროსობას, და იწვრილეს ქალის ამბავი. მეცხვარეებმა უთხრეს ქალს, რომ

«ვართ ჩვენ დაბით ეფრბანიან და სიფფურდეთ, და ჭინმრეფლნი რაბატეფლნი და დადგის ქადაქსა მცხეთასანი, სადაცა ღმერთნი ღმერთობენ და მეფენი მეფობენო».

სწორედ ამ დიდ ქალაქ მცხეთაში უნდოდა გულით მოსვლა ამ ქალსაცა. მაგრამ ვინ იყო განა ეს ქალი? ეს ქალი იყო შვენიერის რიფსიმეს ამხანაგი, წმინდა ნინო, საქართველოს განმანათლებელი. ნინო არ შეუშინდა დიდსა და მაღალსა, თოვლით მოსილს მთებსა და წამოვიდა თაფარავანის ტბითა. იარა მტკვარმტკვარ და გადმოვიდა ქართლში, საცა ბევრი ნახა მგზავრნი. გამოჰკეა ამ მგზავრებსა და ჩამოვიდა ქალაქს ურბნისს. აქ ურიანი მრავლად ცხოვრობდნენ. ამათგან შეიტყო ნინომ ამბავი ურბნისისა და საქართველოსი, კარგა ხანს დაჰყო ურბნისში და შემდეგ ჭნახა, რომ ყველა მიემგზავრებოდა ქვეით «დედა ქალაქად სამეფოდ მცხეთად», ზოგი ღმერთების მოსალოცავად და «ზორავად წინაშე არმაზ ღეთისა მათისა», ხოლო ზოგი «მოეკრებად სახმართა რათამე». იგი წვიდა ნინოცა და გაჰყეა მლოცავებსა.

**

დილაა. ცა მოწმენდილია. ჰაერი გაცრიგებულა. საცაა მზეც ეპირება დიდებულად ამოსელასა, რადგან აღმოსავლეთისკენ ცის გუმბათს წითლად და ყეითლად შეჰკრებია ერთი კალთა. აი ამოვიდა მზეც. დედა-ქალაქი მცხეთა შეიძრა და შეჩოჩქოლდა. დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, ყველა სადღესასწაულოდ მორთული გამოვიდა გარედ, სცა პატივი ორმუზდის კერპსა სახლების ბანებიდამ და მერე «სიმრავლემან ერისამან» გასწია მცხეთის ხიდისაკენ, საცა იყო უმთავრესი სადგური მოგვთა და ქურუმთა.

«და ⲁⲁ, ამბობს ქართლის ცხოვრება, — დღე და იყო ხმა ოსანისა და საყვირისა და ზარი საშინელი და გამოსულ ერისა ურიცხვისა, ვითარცა ეკეკეფთა ეკლესიათა და ზარი საშინელი გამოვიდოდა, ვიდრე ეამისეფამდე მეფისა».

ᲔᲠᲪᲔᲚᲔᲑᲔᲚ ᲡᲐᲮᲝᲒᲐᲓᲝᲑᲘᲡᲐ» ᲡᲐᲡᲐᲠᲔᲑᲚᲝᲓ, ᲨᲔᲛᲝᲛᲐᲠᲔᲓᲐ:

	მან.	კაპ.
ᲘᲡᲐᲡᲚᲔᲚᲘᲡ ᲑᲘᲚᲘᲗᲔᲑᲘᲡᲐ	924	— ,,
ᲥᲐᲠᲐᲓ	41	— ,,
ᲡᲣᲚ. .	965	— ,,

ᲮᲐᲠᲯᲘ:

ᲛᲘᲪᲔᲐ:

ᲤᲝᲤᲝᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲑᲠᲐᲜᲐᲡᲐ» . 85 — ,,

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲛᲬᲘᲚᲐᲓ . . . . . 25 — ,,

ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲛᲣᲡᲘᲙᲘᲡ . . 31 — ,,

ᲩᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲣᲡᲘᲙᲘᲡ . . 8 — ,,

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲕᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲝᲑᲘᲗᲘᲡ, ᲑᲘᲚᲔᲗᲔᲑᲘᲡᲐ, ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲡᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲤᲘᲨᲔᲑᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ ᲥᲣᲠᲗᲘᲡ ᲓᲐᲯᲓᲐ. 23 — 80

ᲛᲘᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ. . 7 — ,,

ᲞᲠᲘᲜᲢᲔᲠᲘᲡ ᲮᲐᲠᲯᲘᲗ . 25 — ,,

ᲡᲣᲚ. . 204 — 80

წმინდა შემოსავალი დარჩა 760 მან. 20 კაპ.

აცხადებს რა ამას საყოველთაოდ, «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» გამგეობა მოვალედ ჰრაცხს თავის თავს გულითადი მადლობა განუცხადოს ქალბატონთ: ე. მ. ზარუდნაიას, ო. ნ. ოზეფოვიჩს, ე. დ. კოკოიეცევისას; ბ-ნთ: მ. მ. იპპოლიტოვ-ივანოვს, გ. ო. ყორღანოვს, მ. ბ. ᲛᲔᲓᲕᲔᲓᲔᲕᲘᲡᲐ, ი. ფ. სარაჯოვს, თ. ე. მ. თუმანოვს, თ. დ. გ. ᲔᲠᲘᲜᲗᲐᲕᲘᲡ, რატლს, აღნიაშვილს და ქართულს ხოროს, რომ უსასყიდლოდ მონაწილეობა მიიღეს კონცერტში, «საბრანიის სტარშინებს», რომ უსასყიდლოდ დაუთმეს საზოგადოებას «საბრანიის» დარბაზი, და აგრეთვე ყველა იმათ, ვინც საღამოს უკეთ მოწყობაში მონაწილეობა მიიღო.

წერილი ქიზიყიდამ

ᲩᲔᲜᲘᲡ ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡ ᲨᲘᲛᲓᲔᲒᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲡᲐᲡᲝᲛᲐᲗᲘᲡ ᲘᲗᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲘᲗ ᲔᲚᲓᲝᲗᲘᲡ-ᲛᲨᲝᲑᲔᲚᲘᲡᲐ, ᲬᲛᲘᲓᲐ ᲜᲘᲜᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲬᲛ. ᲒᲘᲝᲠ�გᲘᲡ. 14 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲓᲦᲔᲝᲑᲐ ᲘᲪᲘᲐᲜ ᲥᲘᲖᲘᲧᲔᲚᲗᲐᲛᲘ ᲬᲛ. ᲜᲘᲜᲝᲡᲘᲡ. ᲗᲣ ᲐᲛᲘᲜᲓᲘᲪ ᲮᲔᲚᲘ ᲣᲬᲧᲝᲑᲡ, ᲛᲗᲔᲚᲘ ᲥᲘᲖᲘᲧᲘ ᲛᲝᲘᲪᲕᲐᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲥᲔᲓᲔᲚᲘᲡᲐᲨᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲬᲛ. ᲜᲘᲜᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲐᲗᲐᲡᲐ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲘᲠᲘᲐ. ᲐᲓᲠᲔ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲝᲓᲐ ᲮᲚᲝᲛᲘᲗ ᲒᲘᲠᲘᲜᲘᲗᲘ, ᲥᲘᲓᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲗᲐ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ. ᲒᲘᲠᲘᲗᲘᲡ ᲔᲑᲚᲐ ᲗᲘᲗᲘᲗᲘᲡ ᲐᲦᲐᲠ ᲛᲝᲘᲪᲕᲐᲓᲐ ᲮᲚᲝᲛᲘᲗ ᲒᲘᲠᲘᲜᲘᲗᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲬᲛ. ᲜᲘᲜᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲐᲗᲐᲡᲐ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲘᲠᲘᲐ. ᲐᲓᲠᲔ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲝᲓᲐ ᲮᲚᲝᲛᲛᲔ ᲒᲘᲠᲘᲜᲘᲗᲘ, ᲥᲘᲓᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲗᲐ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ. ᲒᲘᲠᲘᲗᲘᲡ ᲔᲑᲚᲐ ᲗᲘᲗᲘᲗᲘᲡ ᲐᲦᲐᲠ ᲛᲝᲘᲪᲕᲐᲓᲐ ᲮᲚᲝᲛᲛᲔ ᲒᲘᲠᲘᲜᲘᲗᲘ, ᲓᲐᲛᲐᲨᲘ ᲔᲠᲗᲘᲡ ᲛᲣᲮᲚᲘᲡ ᲥᲕᲔᲨᲘ ᲓᲐ ᲮᲐᲜ ᲔᲠᲗᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲘᲡᲐ. ᲓᲘᲚᲘᲗ ᲐᲓᲠᲔ ᲒᲐᲛᲘᲐᲠᲗᲔᲑᲝᲓᲐ ᲡᲝᲤᲔᲚᲘᲡᲨᲘ, ᲓᲐᲘᲭᲘᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲮᲐᲜ ᲛᲔᲝᲠᲘᲡᲐ. ᲓᲘᲚᲘᲗ ᲐᲓᲠᲔ ᲒᲐᲛᲘᲐᲠᲗᲔᲑᲝᲓᲐ ᲡᲝᲤᲔᲚᲘᲡᲨᲘ, ᲓᲐᲘᲭᲘᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲮᲐᲜ ᲛᲔᲝᲠᲘᲡᲐ. ᲛᲔᲠᲔ ᲔᲠᲗᲘᲡ ᲨᲣᲑᲘᲡ ᲥᲕᲔᲨᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲝᲓᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪᲐ ᲡᲘᲪᲘᲪᲮᲚᲘᲡ ᲓᲠᲝᲡᲐ ᲐᲠᲐ ᲓᲐᲛᲘᲗᲠᲝᲑᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲔᲚᲘᲡᲐᲛ. ᲮᲐᲚᲮᲘᲗᲐ ᲓᲘᲓᲐᲓ ᲓᲐᲒᲘᲜᲐᲮᲐ ᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲔᲑᲘᲗᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲓᲘᲝᲓᲐ ᲪᲮᲝᲚᲔᲑᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲦᲝᲚᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲬᲛ. ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲐᲗᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲧᲐᲓᲒᲔᲑᲓᲐ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝᲑᲘᲡᲐᲡ. ᲮᲚᲝᲛ ᲡᲝᲤᲔᲚᲐᲓ-ᲙᲘ ᲐᲦᲐᲠᲐ ᲪᲮᲝᲠᲘᲡᲮᲓᲔᲑᲐ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲒᲐᲒᲘᲓᲐ ᲛᲐᲮᲚᲝᲑᲔᲚᲗᲐ ᲪᲮᲝᲠᲘᲡᲮᲓᲔᲑᲐ. ᲮᲚᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲦᲝᲚᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲐᲛᲫᲦᲝᲚᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲤᲘᲨᲔᲑᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ ᲥᲣᲠᲗᲘᲡ ᲓᲐᲯᲓᲐ. 23 — 80

ᲛᲘᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ. . 7 — ,,

ᲞᲠᲘᲜᲢᲔᲠᲘᲡ ᲮᲐᲠᲯᲘᲗ . 25 — ,,

ᲡᲣᲚ. . 204 — 80

ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ ᲓᲐᲠᲩᲐ 760 ᲛᲐᲜ. 20 ᲙᲐᲞ.

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲠᲐ ᲐᲛᲐᲡ ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝᲓ, «ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲬᲔᲠᲐ-ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲔᲚ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲑᲘᲡ» ᲒᲐᲛ�გᲔᲝᲑᲐ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲓ ᲩᲠᲐᲪᲮᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲣᲚᲬᲧᲝᲑᲘᲗᲘ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲒᲐᲜᲣᲪᲮᲐᲓᲝᲡ «ᲓᲐᲪᲣᲚᲘ ᲢᲣᲤᲘᲡᲗᲕᲘᲡ». ᲓᲐᲪᲣᲚᲘ ᲢᲣᲤᲘ ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲜᲘᲜᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲡᲔᲑᲣᲚᲘ. ᲓᲐᲪᲣᲚᲘ ᲢᲣᲤᲘ ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲥᲐᲚᲘ ᲐᲡᲬᲐᲕᲔᲑᲓᲐ ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡ ᲛᲪᲜᲔᲑᲐᲡ ᲥᲘᲖᲘᲧᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲓᲘᲝᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲝᲑᲘᲗᲘ ᲛᲝᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲬᲛ. ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲔᲠᲘᲜᲗᲐᲕᲘᲡ, ᲠᲐᲢᲚᲘᲡ, ᲐᲦᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘᲡ ᲮᲝᲠᲝᲡ, ᲠᲝᲛ ᲣᲡᲐᲡᲧᲘᲓᲚᲝᲓ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲓᲐ ᲛᲘᲘᲦᲔᲡ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ, «ᲡᲐᲑᲠᲐᲜᲘᲡ ᲡᲢᲐᲠᲨᲘᲜᲔᲑᲘᲡ», ᲠᲝᲛ ᲣᲡᲐᲡᲧᲘᲓᲚᲝᲓ ᲓᲐᲣᲗᲛᲔᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲑᲐᲡ «ᲡᲐᲑᲠᲐᲜᲘᲘᲡ» ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘ, ᲓᲐ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲘᲛᲗᲘᲗ, ᲕᲘᲜᲪ ᲡᲐᲦᲐᲛᲘᲡ ᲣᲙᲔᲗ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲨᲘᲜᲐᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲓᲐ ᲛᲘᲘᲦᲝ.

ᲐᲘ ᲒᲐᲛᲮᲘᲠᲓᲜᲓᲐ ᲛᲔᲣᲦᲔᲡᲐ ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡᲘᲡ ᲛᲘᲡᲬᲧᲓᲐ, ᲧᲕᲔᲚᲐᲛ ᲒᲐᲜᲐᲑᲐ ᲨᲘᲜᲗᲘᲗ ᲡᲣᲚᲘ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲘᲘᲤᲘᲜᲢ-ᲛᲝᲘᲤᲐᲜᲢᲐ.

ᲓᲐ ᲒᲘᲗᲮᲠ ᲘᲒᲘ ᲛᲝᲘᲬᲝᲐᲜ ᲥᲘᲚᲐ — ᲒᲐᲜᲬᲛᲠᲔᲚᲘᲡ ᲛᲐᲢᲚᲘᲡ, — ᲘᲧᲝᲗ ᲡᲘᲧᲚᲔᲗᲚᲝᲓᲐᲜ ᲓᲐ ᲛᲐᲛᲐᲓᲐᲡᲬᲘᲚᲐᲜ ᲧᲝᲕᲚᲘᲡᲐ ᲙᲘᲗᲔᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲨᲘᲨᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲨᲔᲘᲧᲠᲔᲚᲗᲐ ᲓᲐᲓᲐᲛᲐᲓᲗᲔᲓᲘᲡ ᲡᲘᲛᲬᲠᲐᲕᲚᲘᲡ ᲨᲘᲜᲐᲜ ᲗᲘᲗᲘᲡᲘᲡ. ᲓᲐ ᲐᲮᲚᲐ ᲛᲘᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲯᲐᲓᲔᲡ ᲜᲘᲜᲐᲜ ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲘᲡᲐᲜ ᲨᲔᲘᲧᲠᲔᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲘᲗᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲯᲐᲓᲔᲡ ᲡᲘᲛᲬᲠᲐᲕᲚᲘᲡ ᲨᲘᲜᲐᲜ ᲗᲘᲗᲘᲡᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲐᲛᲐᲓᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲗᲘᲡ ᲡᲘᲛᲬᲠᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲘᲜᲐᲜ ᲔᲚᲕᲘᲠᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲘᲗᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲯᲐᲓᲔᲡ ᲜᲘᲜᲐᲜ ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲘᲡᲐᲜ ᲨᲔᲘᲧᲠᲔᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ

ლოცულობდა და, რადგან წმ. ნინომ თავისი ნიჭი სიტყვიერებისა უხვად გარდასცა თავის ნათლულს, მშვენიერადაცა ჰქადაგებდა ხალხში ქრისტეს მცნებასა. სიმდიდრეც ხელს უწყობდა პატარა ნინოს. დედ-მამა და ძმები არასა ჰზოგავდნენ, რადგან ღვთის გამოგზავნილ მოციქულს ძრიელ მიაჩნდა და უყვარდა ბარნაბიანთ ქალი. პატარა ნინო გარდაიქცა მოწყალედ გლახაკთა და დავრდომილთა. ცოტა ხნის შემდეგ, წმ. ნინოსა და პატარა ნინოს მოღვაწეობით, მოინათლა ბოდბე და მთელი ქიზიყი.

პატარა ნინო ოცის წლისა იქნებოდა, როდესაც იმისმა განმანათლებელმა დაანება დედამიწას თავი, უნდერძა ქიზიყის სამწყემსო პატარა ნინოს და განისვენა წიაღთა შინა აბრაამისათა.

ბარნაბიანთ ოჯახობას მობეზრებული ჰქონდა თავი სასიძოებისაგან, რომელნიც ნატრულობდნენ პატარა ნინოს შერთვასა. დედ-მამა და შვიდი ძმა შეადგენენ პატარა ნინოს, რომ ამოერჩია ვინმე საქმროდ და გათხოვილიყო. მაგრამ პატარა ნინო დიდს უარზედ იდგა. იმას უნდოდა ოცის სამსახური და გაერცელება ალბში ქრისტიანობის უმაღლეს მცნებათა. თვალ-წინ უდგა ქალწულობა ღვთის-მშობლისა და წმ. ნინოსი და თვითონაც უნდოდა დარჩენილიყო ქალწულად. შეაწუხა ნათესავების ხვეწნამ და მუდარამ, ერთს დღეს ჩაიცვა ძოწეული, საიდუმლოდ წავიდა თავის სახლიდამ და შეეკედლა ერთს დედაბერს, საწყალსა და ამოწყეტილს ქერიე-ოხერსა. იმ დედაბერთან იმალებოდა პატარა ნინო და ევედრებოდა ღვთის-მშობელს, რომ ქადა ქკეულიყო და ამით მინც ასაღნონდა გათხოვებასა. ღვთის-მშობელმა შეიწყნარა პატარა ნინოს ევედრება და ერთხელ, ლოცვის დროს, გარდაიქცა ქადა, რომელსაც ეხლა ხალხი ეძახის «ქალ-ქვასა». ამ ადგილას ააშენეს ეკლესია ღვთის-მშობლისა და ეკლესიის კარებში პირქვე სძღვს «ქალ-ქვა».

ლეგენდა საკვირველს თვისებას აწერს „ქალ-ქვასა“. მთელი ქვეყანა რომ დაეშალოს «ქალ-ქვას», ნძრეევას ვერ უზამს, ვერ გადმოაბრუნებს. მაგრამ ბარნაბიანთ ჩამომაელობისა რომ უსუსური ბაზეიც მიეიდეს, ხელი ახლოს და შესძახოს: «ბარნაბიანთ გვარისა ვარ, ამყე, მამიდაო!», — ქვა მაშინვე გადმობრუნდება. ამ ქვას ისეთი მშვენიერი სახე აქვს თურმე, რომ დუნიაზე ისეთი ლამაზი სახე არ ექნება ქალსაო.

ეხლა მხოლოდ ერთი ბებერი დედაკაცი-ღაა თურმე იმ ბარნაბიანთ ჩამომაელობისა. როცა უნდა ნახოს თავის გვარის გამბარწყინებელი პატარა ნინო, ეს დედაბერი ჩუმად გაუუსულდება თურმე ყოველად წმინდის ეკლესიასთან, ხელს ახლებს «ქალ-ქვას», ეტყვის — «ბარნაბიანთ გვარისა ვარ, ამყე, მამიდაო!», — ისიც აჰყვება, გადმობრუნდება, დედაბერი მოეხვევა, ემთხვევა პატარა ნინოს მშვენიერს სახეს და ნუგეშ-ცემული დაბრუნდება სახლშია.

ქ—ელი

დაბა ᲙᲝᲠᲬᲔᲚᲘ

(მოწერილი ამბავი)

ᲡᲝᲤ. ᲣᲠᲑᲜᲘᲡᲘ. ძველს დროსს, ჯერ ისევ ქრისტეანობის გავრცელებამდე, ურბნისი შესანიშნავი ქალაქი იყო. ქალაქი, როგორც მდებარეობა გვიმტკიცებს, ცისკენ-სიმაგრეს შეადგენდა: სამ კუთხივ ურბნისი ესლაც შემოზღუდულია დიდის თხრილით და თხრილ შუა კედელ კარებიან ადგილია დარჩენილი. სამხრეთის მხარეს მტკვარი ჩამოდგას და კედლისა ნაპირები ბუნებრივ სიმაგრეს წარმოადგენენ. ხალხის გარდმოცემით, კუბეთ თაკვანის-მცემლობას დროს ქ. ურბნისის მეკიდრნი უმეტეს ნაწილად ურიანი ყოფილან; აქ ესლაც ხშირად ჭნოლოგიენ ებრაულ ფულებს... რაც უნდა იყოს, ურბნელს თავისი სოფელი წმინდა ადგილად მიაჩნია და სასმოკენებით გაიხსენებს, რომ პირველად ქართველთა განმანათლებელი წმინდა ნინო ქ. ურბნისში მობძანდა და აქ ადგა ქრისტიანობაზა... დასაკვირვებელია ეს ამბავი, მტკვრის პირად, მაღალ ადგილზედ დარჩენილია ერთი ქვითკირის კედელი პატარა ეკლესიისა; ეს ადგილი ესლა სასაფლაოა. წმ. ნინოს პირველად აქ ჩაუდგია სამლოცველი მეკედლეთა და ხალხი დარეკულა ტაძარს წმ. ნინოს ეკლესიას ეწოდებს. ხალხსა სწამს, რომ წმ. ნინომ თავის ხელით ააშენა ეს პაწია ეკლესია ამის მოსაგონებლად, რომ პირველად ამ ადგილს დაიწყო ქრისტიანობის ქადაგება... ეკლესიის კედლის იქით, მდინარე მტკვრის პირად, დარჩენილია დიდი სიდის ბურჯი. ამ სიდზე გამოძანძნიდა ქართველთა წმ. დედა ნინო... ხალხი დიდის მოწიწებით და დიდის თაყვანისცემით ეკერრება იმ წმ. ადგილს, სადაც წმ. ნინომ პირველად სასუფევლის ჭეშმარიტება აუწყა ხალხსა, მაცხოვარის სწავლა უქადაგა ძველის-ძველ ურბნელებსა... როგორც ხალხს ჰგონია, ქ. ურბნისში წმ. ნინო რამდენსამე თთეკენ დარჩენილა, ბევრი მოწაფენი შეუქმნია და მერე მცხეთას გამგზავრებულა. საქართველოში ყველაზედ ნაკლებ ჩვენ ბეგვიდენ ქრისტიანობა, პირველად ჩვენ ეკუთვნის ზეციური სწავლა წმ. ნინოსა, — თავ-მოწონებით ეკუთვნით ეკლესია ურბნელი... მართლაც რამ დიდი პატივი და ღირსებაა! ეს ურბნელს ადგილ-ბოსის მსვლელობაში იყო. რაც ურბნელის ადგილი მოისმა, ეკლესიასაც ეურჩადება მოაკვლა და ესეა ოგი მარტო დანერგეულს კედელს წარმოადგენს. ამ ეკანსანელ წლებში ურბნისის საზოგადოებას ხშირად ჭნანია მოდაბრაკება წმ. ნინოს ეკლესიის განსაცდელზედ... საკვირველ არის, რამ ეს ეკლესია განსაცდელს... ხალხს ეკერა, რამ ძველი კედელი ხელ-ეზეებულად დარჩეს, — კედელი წმ. ნინოსაგან აშენებულია... დიდის ამბით იცავ ჩეკნში წმ. ნინოს დღეობა. ამ დღეს, ბევრებენ წესისა დაგვარად, ბევრი ტანსა მოსდის ხოდმე წმ. ნინოს ზედაშეს... მხიარულება დიდია, მაგრამ დანაკლისსაც ის მიგვაჩნია, რომ დღესასწაულს ურბნისის სობოროში ესლადღეობ და არა საკუთარს წმ. ნინოს ეკლესიაში. დიაღ, საკვირაა, ფრიად საკვირაა, რამ ურბნისში განეკანსელიათ ეკლესია, სადაც პირველად ქართველს ენაზედ და საქართველოს სახელიერად, სასიქადულოდ ბანამს ძალუნი და მანუგეშებელი სწავლა ქრისტეანობისა.

ურბნელი გლეხი

ᲓᲔᲞᲔᲨᲐ

12 იანვარი

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. ეიღრე დაიწყებოდა კრებანი ფინლიანდიის სეიმისა, გენერალ-გუბერნატორმა წაუკითხა სიტყვა მის უდიდებულესობისა საერო სასახურის კაცთა. ამ სიტყვაში ნათქვამია, რომ საერო სასახურის კაცნი ნაკოდებულნი ხართ დღეს ქვეყნის კეთილდღეობისათვის ფრიად საყურადღებო ახალ საკანონ-მდებლო ლონის-ძიებათა განსახილველადაო; გამოცხადებულია, რომ ხელმწიფე იმპერატორმა დიდის სიამოვნებით დაჰყო რამდენიმე ხანი ფინლიანდიაში თავის უავგუსტოესის ოჯახობით საზაფხულოდ 1885 წელსა. ბოლოს მოახსენებულია, რომ იმედია, სეიმი კეთილ-სინდისიერად და კარგად შეასრულებს ის საქმეს, რომელიც ხელმწიფემ მიანდოთ. დასასრულ სიტყვაში ნათქვამია, რომ ხელმწიფე იმპერატორს განზრახვა აქვს შემდეგს კრებას მოაწოდოს სამის წლის შემდეგაო.

გაზეთები ამბობენ, რომ ხმა არის, ეითომ კვლავ უნდათ მომტეტებულ ნაწილს რკინის გზის საზოგადოებათა ახდეევონ ხელმეხელ-ახლად ყოველ გვარი გარდასახადი და ბაჟი, რომელიც-კი სავაჭრო და სამრეწველო საქმეთა მოთავეებს ერთმეეთოო.

„С.-Петер. Вѣд.“-ი გვაუწყებს, რომ ინვარში განზრახვა აქვთ შეკრიბონ პეტერბურგში ყველანი, ვინც-კი განაგებს საოლქო შტაბებში ჯარის საომარ ფეხზე დაყენების განყოფილებათაო.

გაზეთებზე ნიკოლაევში დაიწყებენ ახალის ჯავშნიანის ხომალდის აგებასა და საძის კანონერის ნაგისას. ამას გარდა კუნდიშეევის სპასკის ადმირალდეტეტიც ეერფში განზრახვა აქვთ დაიწყონ აგება ერთის სხვა ჯავშნიანის ხომალდისაც. სევასტოპოლში ფიქრობენ ახალი დოკი გაამართონ ზღვის პირას.

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ. საკვირო საბჭოში წარდგენილ იქმნა კანონ-პროექტი ახალის სესხის აღებისათვის. ეს ფული საჭიროა სამხედრო საქმეთათვისაო, მაგრამ რა სამხედრო საქმეებია ეს საქმეები, ეს საიდუმლოდ იქმნება დაფარულიო. «Politische Nachrichten»-ი ამბობს: ხმა ისმის, რომ ის 230 მილლიონნი, რომელიზედაც ამ ბოლოს დროს ლაპარაკობდნენ, მეტად ცოტაა და უფრო მეტის ფულის აღება უნდათ სესხადაო.

ᲗᲐᲠᲘᲖᲘ. ნანსის ახლოს გერმანიის მიწა-წყალზე მოუეიდათ ჩხუბი ერთის ფრანგს მონადირეს, რომელიც საზღვარს გადასცილებოდა და გერმანიის სამაჯოს დარაჯსა. დარაჯმა წაართვა თოფი მონადირესა. საფრანგეთის მთავრობამ დაიწყო გამოძიება ამ საქმისა.

გავრში ანარქისტების კრებაზე ეაჭარმა ლიუკასმა ესროლა რეეოლვერი ლუიზა მიშელს და მძიმედ დასჭრა ყურში. ლიუკასი დაუპატიმრეს.

ᲑᲔᲚᲒᲠᲐᲓᲘ. სკუპჩინა დათხოვნილ იქმნა და ახალი არჩევანები 4 მარტისათვის არის დანიშნული.

13 იანვარი

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. პეტერბურგის ოლქის სასამართლომ განიხილა აქმე ობუხოვსკის სამკურნალოს ორდინატორის ფერეიპეშერისა, რომელსაც ჰბრალდებოდა, რომ სამკურნალოში არ მიიღო ავადმყოფი მოხუცი დედაკაცი, რის გამოც ეს დედაკაცი გარდაიცვალაო. სასამართლომ გადასწყვიტა: აქეაროს განსაკუთრებული უფლებანი დამნაშავეს და გაიგზავნოს არხანგელსკის გუბერნიაში სამის წლის ეადითაო. ამასთანავე სასამართლომ დადგინა: ეი ფუამდგომლოთ, რომ ამ სასჯელის მაგიერ ჰაუპტვახტაში იქმნას დამნაშავე დაპატიმრებული ერთის თთეესაო.

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ. სადილზე ფრიდრიხსრუეში თავადმა ბისმარკმა უთხრა ერთს სტუმარსა: ოორისა და სამის წლით ლოდინი ომისა რა საფიქრებელია. წელს უფრო საბუთი მაქვს საკმაოდ ცხადად ესთქვა ესა. ისიც-კი მართალია, რომ 1870 წელსაც ასე ჭფიქრობდნენ, მაგრამ სხვა-კი გამოეიდა.

ᲕᲔᲜᲐ. «Politische Correspondenz»-ს სწერენ დეკემბით სტამბოლიდამ, რომ მას აქედ, რაც ბულგარეთში ცდამ აჯანყებისამ უნაყოფოდ ჩაიარა, კიდეე რამდენიმე რაზმი მეამბოხეთა სცდილობდნენ შესეულიყვნენ ალმოსავლეთ რუმელიაში. რამდენიმე კაცი ჯერ ოსმალებმაეე შეიპყრეს; ბევრს მთვანს იარაღი აჰყარეს მაშინ, როცა შეეიდნენ უკვე ალმოსავლეთ რუმელიაში; სულ ტყვედ იქმნა შეპყრობილი 50 კაცე; როგორც ეტყობა, კიდეე ემზადებიან ათინაში, რომ კვალად სცადონ და შეეესონ ალმოსავლეთ რუმელიას. ის ხმა, რომ ეითომ ცანკოეს სთხოვეს, წიდი ოსმალეთიდამო, ჯერ არ გამართლებულა.

როგორც სწერენ «Neue Freie Presse»-ს ბუქარესტიდამ, რუმანიის საკანონო პალატის უკანასკნელს ინსტანციას დაუდგენია, რომ რუმენიაში დაბადებულნი ებრაელნი უნდა ჩაითვალონ უცხო ქვეყნელებადაო.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲑᲘᲠᲐᲨᲘ 12 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

	ოქროს ფულად		ვერცხლის		ბეჭედი	
	მან.	კ.	მან.	კ.	მან.	კ.
ხუთმანეთიანი ოქრო .	—	,,	—	,,	9	23
ტუმოუნის ბუმნეები .	—	,,	—	,,	184	1/2
ბანანთიანი ვერცხლის ფული	—	,,	—	,,	1	31
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	—	,,	—	,,	265	3/4
— მეორისა.	—	,,	—	,,	249	1/2
გარანტ. ფურცელი						
ტფილისის ბანკისა .	—	,,	—	,,	—	,,
ქუთაისის ბანკისა . .	—	,,	—	,,	—	,,
ტფილისის საერთო-ერთო ნდობის საზო. გადოებისა.	—	,,	—	,,	—	,,

ᲡᲐᲯᲐᲚᲣᲜᲓᲐᲠᲝ ᲪᲜᲝᲑᲐᲜᲘ

ქრისტეს აქედ ჩუᲫᲮ (1888) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7336**.

ᲫᲕᲔᲚᲘ ᲘᲜᲓᲘᲥᲢᲘᲝᲜᲘ მე 14,

ᲐᲛᲘᲡ ᲥᲝᲠᲜᲘᲐᲜᲝᲜᲘ—ᲣᲐ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲘᲜᲓᲘᲥᲢᲝᲜᲘ მე-4,

ᲐᲛᲘᲡ ᲥᲝᲠᲜᲘᲐᲜᲝᲜᲘ—ᲓᲔ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1888 წლის ზედ-ნადგენი—25.

ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ 31 დღეი არის.

14 დღე ᲗᲣᲗᲘᲨᲐᲑᲐᲗᲘ. მოციქულთა სწორის საქართველოს განმანათლებელის ნინოსი. კეთილ. წმ. გიელიარისა და ეგნაკ. ფველიქსესი. სომეხ. შობა იოანე წინა-მორბედისა. მუსელ. მე-12 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ეეველისა, 1305 წ. ჰეჯრისა.— ᲩᲣᲨᲐᲠᲘᲢᲘ ᲨᲣᲐ-ᲓᲔᲒᲘ 12—13. ტფილისში მზე ამოდის 7—19, ჩადის 5—7. მთვარე 14 დღისაა.

15 დღე ᲗᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ. ღირსისა ბაკლესი და იოანე მღვიძარისა. კეთილ. წმ. ალმს. ბაკლესი და წმ. ანაა. მაგრანი. ! ᲛᲐᲯ. მარტვა მუსელ. მე-13 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ეეველისა, 1305 წ. ჰეჯისა.— ᲩᲣᲨᲐᲠᲘᲢᲘ ᲨᲣᲐ-ᲓᲔᲒᲘ 12—13. ტფილისში მზე ამოდის 7—18, ჩადის მთვარე 15 დღისაა.

ᲒᲐᲛᲝ-ᲡᲐᲓᲔᲒᲘ ᲪᲜᲝ-ᲑᲐᲜᲘ
ᲜᲘᲜᲠᲠᲘ

1 იანვრიდამ 1 თებერვალამდე

თეთრი ბური რუსული 1 კარ.	5
ბური 1-ის სარანისანა . .	3
2 »	2 1/2 »
თონის წითელი ბური 1-ის სარან.	5 »
» » 2—	3 1/2 »
» » 3 »	3
ჯვარის ძმის ბურის დაჯვრა	
1-ლის სარანისანა .	
მე-2 სარანისანა .	
მე-3 —	
ცხენის ხორცი 1-ლის სარანისანა.	
» 2 »	7
სუფი	14 »
ძროხის ხორცი . . .	8 »
ღორის ხორცი 1-ის სარანისანა.	7 »
» 2 »	6 »

ᲛᲝᲛᲝ-ᲡᲣᲚᲐ ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡ ᲒᲔᲛᲘᲡᲐ
ᲛᲐᲒᲚᲘᲗᲘ ᲖᲔᲓᲒᲐᲛᲔᲚᲘ.

ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲗᲐᲜ გადის: ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘᲗ ნაშუადღევის 4 სასთაზედ მოგვე ᲒᲠᲗᲘᲗ და ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘᲗᲐᲜ ᲒᲐᲛᲔᲠᲘᲜ შეიელის.

ᲨᲐᲑᲐᲗᲘᲗᲘᲗ სადამოს 8 სასთაზე ᲨᲘᲠᲐᲜᲘ გზით (ᲒᲣᲚᲔᲑᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ-ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲣᲜᲘᲗ შეიელის).

კეეირაობით სადამოა, სიზეეარგარეგ, სტანციოდამდე მიდის.

ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲗᲘ მოდის ოდესიდამ: ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘᲗᲐᲜ შუა-ღამისას შირაზს გზით.

ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘᲗᲘᲗ დილით ოდესიდამ მოგვეს გზით (ᲒᲠᲩᲘᲡ და ᲜᲝᲣᲠᲝᲜᲘᲐᲜᲘᲡᲐᲗᲘᲗ შესვლით).

ᲨᲐᲑᲐᲗᲘᲗᲘᲗ — დილით სტანციოდამ.

ᲤᲝᲗᲝᲗᲘᲗᲐᲜ ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲗᲘᲗ მოდის: ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘᲗᲐᲜ—იმის შემდეგ, როცა ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘᲗ მოდის ᲒᲣᲚᲘ ᲛᲝᲠᲐᲚᲘ გზით; ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘᲗᲐᲜ—დილის 9 სასთაზე და ᲛᲘᲡᲘᲡᲬᲠᲐᲗᲘᲗ ᲛᲝᲒᲕᲔᲚᲘ ᲒᲖᲘᲗ ᲛᲝᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲘ ᲙᲐᲒᲙᲐᲡᲘᲐᲜᲘᲡ და ᲤᲝᲠᲗᲘᲡᲐᲜᲘᲗᲘᲡ ᲒᲣᲚᲘᲗ.

ᲨᲐᲑᲐᲗᲘᲗᲘᲗ — დილის 9 სასთაზე და ᲛᲘᲡᲘᲡᲬᲠᲐᲗᲘᲗ ᲨᲘᲠᲐᲜᲘ გზით ᲛᲝᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲘ ᲙᲐᲒᲙᲐᲡᲘᲐ-ᲤᲝᲠᲗᲘᲡᲐᲜᲘᲡ და ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ-ᲐᲡᲢᲐᲠᲮᲐᲜᲘᲡᲙᲔᲜ ᲬᲧᲚᲘᲡᲬᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲒᲣᲚᲘᲗ.

ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲗᲘᲗᲐᲜ ᲤᲝᲗᲝᲗᲘᲗᲐᲜ მიდის ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘᲗᲘᲗ და ᲙᲔᲘᲠᲐᲝᲑᲘᲗᲘᲗ. რაკი გუმა მოკა ფოთოდამ, ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡᲐᲜ ᲡᲐᲒᲖᲔᲚᲘᲗᲐ ᲒᲐᲓᲐᲡᲕᲚᲔᲑᲘᲗᲘᲗ ᲮᲔᲚᲓᲛᲘ, რომელიც წუა ᲣᲐᲮ.

ᲐᲛᲘᲡ გარდა ᲣᲐᲮᲔᲚᲓᲐᲜ-ᲒᲐᲠᲔ ᲤᲝᲗᲝᲗᲘᲗ მოდის ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘᲗᲐᲜ და ᲤᲝᲠᲗᲘᲗ-ᲙᲐᲒᲙᲐᲡᲘᲐᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲘᲡᲐᲒᲠᲣᲠᲣᲜᲘᲗᲐᲜ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲗᲘᲗ ᲒᲐᲓᲐᲓᲘᲡ ᲒᲣᲛᲘᲗ.

ᲙᲔᲘᲠᲐᲝᲑᲘᲗᲘᲗ, სადამოზე, და სამშაბათს ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡᲙᲔᲜ მიდის, რაკი თავის სეკმეებს გასაუკეთებენ. მერე ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲗᲐᲜ ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘᲗᲘᲗ მიდის ᲤᲝᲠᲗᲘᲗ-ᲙᲐᲒᲙᲐᲡᲘᲐᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲘᲡ-ᲒᲐᲜᲣᲠᲣᲜᲘᲡᲙᲔᲜ, ᲮᲔᲚᲓᲛᲘ თუ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲜᲐ, ფოთოშაც შეიელის ხელმე.

რუსეთის სასავაჭრო საზოგადოების სააგენტო ამეოფება სასასდის ქეჩაზე, ანარჩენისეულის ქარვასლაში, № 101

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

10 ᲘᲜᲕᲐᲠᲘᲡ ტფილისის საბრანაში სატანცაო საღამოზედ **ᲓᲐᲘᲕᲠᲒᲐ ᲨᲣᲐ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲡᲐᲛᲐᲒᲣᲠᲘᲡᲘᲐ** (ბრასლეტისა), ოქროში ჩამაგდარის წითელის ფერის ქეთი (ალმანტინი). ქეაზედ გამოსახულია ასო A. ეარდებისაგან. თვით ქეას გარშემეუს ხედსაბრლიანტები. ესთხოეთ, ვინც იპოვა, ან ტფილისის საბრანინის კანტორაში მიიტანოს, ან მელიქ-ბეგლაროვის სახლში, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, ორბელიანთ ქუჩაზე, სახლის № 3. (3—1)

КАКАО БЕЗЪ МАСЛА
С. СІУ и К°
(50—6)

Доз. цен. Тиф. 13 января, 1888 г. Типографія А. А. Михельсона, на Гол. Проспектъ въ д. Читахова. რედაქტორი და გამომცემელი ილია ᲞᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ